პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 136 (18678) | სამშაბათი, 14 ივნისი, 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

ახალგაზრდული შემართებით

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა კარგი თაოსნობა

კეთილშობილური ინიციატივა გამოიჩინეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა. მათ შექმნეს რაზმი 200-ზე მეტი კაცის შემადგენლობით, რომელიც გაუმგზავრა საშეფო წითელწყაროს რაიონში, რათა ადგილობრივ მეცხოვრებლებსა და მეურნეობებს დაეხმაროს უამინდობით გამოწვეული ზარალის შედეგების ლიკვიდაციაში.

მომავალი მექანიზატორები, აგროინჟინრები, მელიორატორები იზრუნებენ სოფლების ზემო მაჩხანის, არწილოსკალოს, ზემო ქედის და სამთაწყაროს ვენახებში.

13 ივნისს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა საზეიმო ვითარებაში გააცილა ახალგაზრდა ენთუზიასტები. მიტინგს უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გარდა დაესწრნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

სტუდენტთა ჯგუფს გულთბილი დამრიგებლური სიტყვებით მიმართეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ო. ნათიშვილმა, სამთაწყაროს სპეციალიზებული მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა გ. ნადირაშვილმა, სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროორექტორმა ბ. ფალავანდიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ განსაცდელის ჟამს რესპუბლიკის სტუდენტობა ყოველთვის უწვდიდა დახმარების ხელს სოფლის რაიონების მშრომელებს. რაზმის წევრებს მათ უსურვეს დიდი წარმატებანი სწავლასა და შრომაში, მოიგონეს თავდადებული შრომით შეიტანონ წვლილი მიმდინარე წლის მოსავლის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში და რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

გამოსულებმა გამოთქვეს რწმენა, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა მნიშვნელოვან თაოსნობას აიტაცებენ რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. ფულარიძემ და მომავალმა მექანიზატორმა, მეორე კურსის სტუდენტმა თ. ჯღამაიძემ თავიანთ გამოსვლებში დამსწრეთ აღუთქვეს, რომ რაზმის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ წითელწყაროს რაიონის მშრომელთა დასაბმარებლად — აღადგინონ უამინდობით დაზარალებული ვენახები, მოიწიონ ყურძნის კარგი მოსავალი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა სტუდენტისადმი, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია:

ჩვენ საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები მოვუწოდებთ ყველა ჩვენს თანატოლს, რესპუბლიკის ყველა სტუდენტს, უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა წლევანდელი მოსავლის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში, რომელიც ყველგან დაიწყო, ძალ-ღონე არ დაიშურონ იმისათვის, რომ რესპუბლიკამ შეასრულოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წლევანდელი გეგმა.

საქმით დავამტკიცებთ ჩვენს სიყვარულსა და ერთგულებას საბჭოთა სამშობლოს, მშობლიური კომუნისტური პარტიის, ჩვენი ხალხისადმი.

მიტინგი დამთავრდა. რაზმის წევრებს კეთილი დამრიგებლური სიტყვებით გზას ულოცავენ. ისინი სხდებიან ავტობუსებში და მიეშურებიან კახეთისაკენ. (საქინფორმი).

საქმეს გამოეხმაურა

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ

თბილისის ახრეშუმსაჭსოვი გაერთიანების კოლექტივი წარმატებით იბრძვის მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისა თვის. ხუთი თვის პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის სახელმწიფო გეგმა მჭოველებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს, დამაჯერებელ შედეგს მიაღწიეს ფიეჭრებმა ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლაშიც.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ახობით გაერთიანების მშრომელი.

სურათზე: ერთ-ერთი საუკეთესო მჭოველი ლილი კუგაშვილი, რომელიც დღიურ ნორმას 120-130 პროცენტით ასრულებს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ISTORIKOSTA ZVLILI

რესპუბლიკის მეცნიერ-ისტორიკოსთა ბორჯომის მეხუთე შეხვედრის შედეგების გამო

ბორჯომი. (საინფორმისკორ. რ. ცუცქირიძე). რესპუბლიკის ისტორიის მეცნიერების წამყვან წარმომადგენელთა ტრადიციული შეხვედრა მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

შეხვედრის მონაწილეებმა შეიმუშავეს ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის პრობლემატიკის კვლევის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების წინადადებანი. სექციებზე მოსმენილს ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1981-1985 წლებისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საკოორდინაციო გეგმა“. განხილეს მისი დაზუსტებისა და დამატების შესახებ წინადადებანი. შეიმუშავეს რეკომენდაციები საქართველოსა და კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საკოორდინაციო მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. მოსმენილი ინფორმაციები, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებისა და რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადება.

შეაჯამეს მუშაობის შედეგები, რომელიც გასწიეს მეცნიერ-ისტორიკოსებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლების ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების განხორციელებისათვის.

განიხილეს 1985 წლამდე მომავალი გამოკვლევების გეგმების მონახაზები. აღნიშნეს, რომ საჭიროა, ამ გამოკვლევებს მიენიჭოს მეტი მასშტაბურობა, მიზანმიმართულება, გაძლიერდეს მათი საზოგადოებრივი რეზონანსი. ხაზი გაუსვეს, რომ საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა, კერძოდ, ისტორიულმა მეცნიერებებმა, ზუსტი პასუხი უნდა გასცენ მრავალ კითხვას, რომელიც აწუხებს ფართო საზოგადოებრიობას. საქმის წარმატებისათვის შემდგომშიც უნდა განვავითაროთ ეს მეცნიერებანი რესპუბლიკის ყველა რეგიონში.

პლენარულ და სექციურ სხდომებზე შეხვედრის მონაწილეებმა წამოაყენეს წინადადებანი და რეკომენდაციები ერთობლივი ფუნდამენტური გამოკვლევების გამოცემის გაუმჯობესების შესახებ, მათ შორის ისეთი გამოკვლევებისა, როგორიცაა „რუსეთის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური ნორმების აღდგენა, მისი სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-პოლიტიკური შედეგები (70-იანი წლები)“, ნარკვევები საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის ისტორიაზე, შრომა — „საქართველო რუსეთის პირველი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში“. გადაწყდა გამოსაცემად მომზადდეს კრებული საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-ოსეთის ეთნოგრაფიული პარალელების შესახებ, აწარმოონ საექსპედიციო მუშაობა აფხაზეთ და ოს ეთნოგრაფებთან ერთად მასალების შეკრებისა და დამუშავებისათვის.

საინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მეცნიერმა ისტორიკოსებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ბორჯომის შეხვედრები მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქართული მეცნიერების ცხოვრებაში. ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს პირად კონტაქტებსა და აზრთა გაზიარებას.

სოციალისტური შრომის გმირი, პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე:

ბორჯომის შეხვედრები უთუოდ მეტად სასარგებლოა. თბილისიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსული ისტორიის მეცნიერების წარმომადგენელთა გამოსვლები მოწმობს, თუ რა წარმატებებს აღწევს ერთობლივი გამოკვლევები. ჩვენი ხალხების ძმობა საბჭოთა ეპოქის დიდი მონაპოვარია. ისტორიკოსებთან ერთად ჩვენ, ლიტერატორებს წვლილი შეგვაქვს საბჭოთა ხალხების ურთიერთობის განმტკიცებაში.

ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ხელეიშვილი:

— ახლანდელი შეხვედრა აღსანიშნავია იმით, რომ პლენარულ და სექციურ სხდომებზე მეცნიერმა ისტორიკოსებმა აღნიშნეს, თუ როგორ ხორციელდება დიდი კომპლექსური ერთობლივი სამუშაოები რესპუბლიკის ავტონომიური რეგიონების მეცნიერებთან ერთად, დასახეს შემდგომი საკოორდინაციო მუშაობის ახალი ამოცანები. ვფიქრობ, რომ ეს შეხვედრა, ისე როგორც წინა შეხვედრები, სასარგებლო იქნება წამყვანი სამეცნიერო პრობლემების გადაჭრისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ლორთქიფანიძე:

— მე ყოველთვის ასეთი შეხვედრების მოხარული ვარ. ამ მეგობრულ და საქმიან ვითარებაში ერთმანეთს ვუზიარებთ სასარგებლო აზრებს, განვსაზღვრავთ მომავალი ერთობლივი გამოკვლევების მიმართულებებს. აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის მეცნიერ ისტორიკოსთა წინადადებები და რეკომენდაციები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ხალხების დიდი დღეასწაულისათვის მზადებაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. აფაქიძე:

— ბორჯომის მეოთხე შეხვედრის შემდეგ განხდა ქართული კულტურის ისტორიის გამოკვლევის მრავალი აქტუალური თემა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, რაც მიღებულ რეკომენდაციათა პრაქტიკული განხორციელებაა. ერთობლივ გამოკვლევათა შედეგად გამოქვეყნდა პროფესორ ა. კუჭარავასა და დოცენტ დ. გოგოხიას წიგნი იმის შესახებ, თუ რა წვლილი მიუძღვის აფხაზეთს ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებში. ამას წინათ გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ძიძარიას შრომა „საბჭოთა ხელისუფლებისათვის ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობლივი ბრძოლა ეპიზოდები“, გამოსაცემად მზადდება მთელი რიგი ერთობლივი შრომები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ძიძარია:

— უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც განსაზღვრა აფხაზეთის ისტორიული განვითარების მიმდინარეობა XVIII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის დამდეგს, იყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი. რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთ-საქართველოს საუკუნოვანი ურთიერთობის კანონზომიერი შედეგი იყო. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის ამ სერიოზულ ცვლილებას არ შეიძლება ზეგავლენა არ მოეხდინა აფხაზეთის თავდაზღვაურობის მდგომარეობაზე. ეს ფაქტი განპირობებული იყო ქართველი და აფხაზი ხალხების საერთო ისტორიული ბედით, რომლებიც ოდითგან დაკავშირებული იყვნენ მტკიცე მეგობრობითა და ძმობით, რუსეთთან კავშირი წამძღვრებს უქმნიდა პროგრესულ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ კულტურულ და ეთნიკურ განვითარებას. ამ ისტორიულმა პროცესმა მიგვიყვანა დიდ ოქტომბრამდე, სოციალიზმამდე. დღეს აფხაზი მეცნიერები ქართველ მეცნიერებთან ერთად წარმატებით აზორციელებენ აფხაზეთ-საქართველოს ეთნოგრაფიული პარალელების პრობლემებზე მთელ რიგ ფუნდამენტურ გამოკვლევებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ხახუტაიშვილი:

— გეორგიევსკის ტრაქტატმა და ყველა მომდევნო მოვლენამ გადამწყვეტი როლი შეასრულეს აჭარის ისტორიული განვითარების გზის განსაზღვრაში. ჩვენი, ისტორიკოსების მოვალეობაა პრაქტიკული სარგებლობა შევიტანოთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებაში. ბორჯომის შეხვედრაზე გავეცანით ჩვენი კოლეგების ახალ გამოკვლევათა თემატიკას, მასალების პუბლიკაციებს. ბორჯომის პირველი შეხვედრის შემდეგ მნიშვნელოვნად დაიხვეწა ერთობლივი სამეცნიერო მუშაობის ფორმები. რესპუბლიკის ყველა რეგიონის ისტორიკოსების პირადი კონტაქტები ხელს შეუწყობენ უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ბ. ტეხოვი:

— გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ რუსეთის დაღმენთი გავლენა უეჭველად ისახა ოსი ხალხის შემდგომ ბედში. რუსი ხალხის რევოლუციურმა გაქანებამ, მისმა სოციალური სამართლიანობისა და ინტერნაციონალიზმის გამაფრებულმა გრძნობამ როგორც ქართველი და ოსი, ისე რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ყველა ხალხის დიდი სიყვარული, მზურვალე მადლიერება და პატივისცემა დაიმსახურა. დღეს ოსი ხალხი დაადგა თავისი ეკონომიკის, კულტურის, მეურნეობის ინტენსიური განვითარების გზას. ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ ოს ხალხს მეცნიერული და ტექნიკური კადრების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის სპეციალისტების მომზადებაში თბილისის უმაღლესი სასწავლებლები, სადაც სწავლობს სამხრეთ ოსეთის საშუალო სკოლების ასობით კურსდამთავრებული. (საქინფორმი).

მეგობრული შეხვედრა

13 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შ. შ. დოსტს, რომელიც 12 ივნისს მოსკოვს ჩამოვიდა ქენევაში გზად მიმავალი.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხზე, აგრეთვე სსრ კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის საინტერესო მთელ რიგ სხვა საკითხებზე. (საკდესი).

СССР — СССР

აქნებგა 10.000 ტონა ლობიო!

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენ თვალსაჩინო ადგილი უკავია ლობიოს კვების ულუფაში. საქართველოში ამ კულტურის მოვლა-მოყვანას უხსოვარი დროიდან მისდევენ. საუკუნეების მანძილზე შეიქმნა ხალხური სელექციის საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც მთასა და ბარში საუცხოოდ შეეგუა ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებს.

ხალხური სელექციის საუკეთესო ნიმუშად რჩება დღემდე სარის ანუ ამყოლი ლობიო, რომელიც უხვმოსავლიანობასთან ერთად მარცვლის მაღალი სამეურნეო ღირებულებით გამოირჩევა. ამ ფაქტორს 50-60-იან წლებში კარგად იყენებდნენ რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში და ყოველწლიურად როგორც მინდვრის, ასევე სარის ლობიოს უხვმოსავალს იწევდნენ. სამწუხაროდ, შემდგომში ამ კულტურისადმი ინტერესი რატომღაც დაქვეითდა.

ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ყველა რეზერვის ასამოქმედებლად, რესპუბლიკის მოწინავე საზოგადოებრივმა მეურნეობებმა კვლავ მიაპყრეს ყურადღება ლობიოს ჯულტურის აღდგენა-აღორძინებას, მისი სელექციის, ჰექტარობრივი მოსავლიანობის ზრდის ოპტიმალური გზების ძიებას.

ასე გადაწყვიტეს ხაშურში გამართული თათბირის მონაწილეებმა

ლობიოს კულტურისადმი დამოკიდებულებაში შემობრუნების პუნქტად უნდა მივიჩნიოთ შარშანდელი წელი, როცა წმინდა ნათესებზე აწარმოეს 3.300 ტონაზე მეტი ლობიოს მარცვალი, ანუ თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე საშუალოდ წინა ხუთწლედში.

წლეულს რესპუბლიკაში ლობიოს წმინდა ნათესებს 9,5 ათასი ჰექტარი უკავია, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე გასულ წლებში. დაძაბულ შრომას უქმად არ ჩაუვლია, ნათესები სანიმუშოდ და იმედის მომცემად გამოიყურება, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია.

ამ დღეებში ხაშურში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ლობიოს ნათესების მდგომარეობისა და მისი შემდგომი წარმოების გადიდების საკითხებს მიეძღვნა. თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მგელაძემ. მომხსენებელმა — რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. კოზაევმა და კამათში გამოსულებმა — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ გენერალურმა დირექტორმა მ. ღვინჯილიამ, ხაშურის, გორის, ჭარელის აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეებმა ფ. გელაშვილმა, ვ. ხუციშვილმა, ჯ. უნგიაძემ და სხვებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ იბრძვიან ამ რაიონების მშრომელები სასურსათო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციისათვის, სასურსათო პროდუქტების, კერძოდ, ლობიოს მარცვლის ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდებისათვის.

თათბირზე მკაცრად გააკრიტიკეს ამბროლაურის, ლაგოდეხის, სიჩხერის, ეთრი წყაროს, სიღნაღის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ნათესების დროული და ხარისხიანი დამუშავება და ამით მარცვლის დამზადების გეგმების შესრულება საფრთხეში ჩააგდეს.

იქნება ათი ათასი ტონა ლობიოს მარცვალი! — ასე გადაწყდა თათბირზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

ბაზარზე ორიენტაციით

საძონელი — ხალხს

ახლახან საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბევრი დამთვალიერებლის ყურადღება მიიპყრო ახლად გახსნილმა პავილიონმა. აქ ექსპონირებული იყო ქვეყნის სხვა რაიონებიდან შემოზიდული სახალხო მოხმარების საქონელი, აგრეთვე ადგილობრივი წარმოების ნაკეთობანი. ადგილობრივი საქონლის ექსპოზიცია თითოეულს არწმუნებდა იმაში, თუ რა დიდია რესპუბლიკის შესაძლებლობანი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ყოველგვარი საგნების წარმოებაში.

ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოში ერთიორად გაიზარდა სახალხო საქონლის გამოშვება. განსაკუთრებით დიდი ძვრები მოხდა მსუბუქ და კვების მრეწველობაში, არადა ამ დარგების წილად მოდის რესპუბლიკაში საქონლის სამრეწველო წარმოების 61,2 პროცენტი. აშენდა არცთუ ცოტა ახალი ფაბრიკა, განხორციელდა ბევრი ძველი საწარმოს ძირეული რეკონსტრუქცია.

ნიშანდობლივია, რომ რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის ორმოცზე მეტი სახელწოდების საქონელს უშვებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები. ახლახან მაღაზიების დახლზე გაჩნდა ადგილობრივი წარმოების ახალი ფერადი ტელევიზორები „ივერია“, მაგიდის მცირეგაბარიტიანი ელექტრონული საათი, სხვა საქონელი.

ფოთში მოქმედმა ტერიტორიულმა დარგშორისმა გაერთიანებამ მოაგვარა მასობრივი მოთხოვნის გამძლე საგნების გამოშვება ნარჩენებისაგან, მათ შორის იმ ნარჩენებისაგან, რომლებიც ჩაის მრეწველობაში იქმნება. მოქმედებს შპალერებისა და მოზაიკური ფილების საწარმოო საამქროები. თბილისის საქარხნო რაიონში რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითს ცენტრთან ერთად ახდენენ საწარმოთა პასპორტების კოდირებას, რაც საშუალებას იძლევა გამოავლინონ თავისუფალი საწარმოო სიმძლავრეები, რომელთა გამოყენება შეიძლება სამომხმარებლო ნაკეთობათა გამოსაშვებად.

რესპუბლიკაში ადგილობრივი მრეწველობის წილად მოდის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის 17,7 პროცენტი. უკანასკნელი ხუთწლეულის მანძილზე მისი ნაკადი ორ-ნახევარჯერ და მეტად გაიზარდა. ახლახან შემუშავდა დარგის განვითარების 1990 წლამდე პერიოდის გეგმა. მას საფუძვლად დაედო ადგილობრივი ნედლეული რესურსების ფართო გამოყენება.

ამოქმედდა კიდევ ერთი რეზერვი: სეზონთშორის პერიოდში იმუშავებენ სპეციალური სამრეწველო-საწარმოო გაერთიანებანი. უკვე ხორციელდება რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებათა კოოპერაცია ადგილობრივ მრეწველობასა და მსხვილ საწარმოებთან. ერთი სიტყვით, თუ რაციონალურად გამოიყენებენ არსებულ საწარმოო სიმძლავრეებსა და წარმოებაში ჩართავენ მეორეულ ნედლეულს, ნარჩენებსა და ადგილობრივ რესურსებს, დღეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება შეიძლება დაახლოებით 220 მილიონი მანეთით გაიზარდოს.

დიდი პერსპექტივებია ისახება ტრადიციული სახალხო სარეწების წინაშე. საკმარისია ითქვას, რომ ამ უკანასკნელ პერიოდში ამგვარ ნაკეთობათა წარმოება თითქმის ერთისამად გაიზარდა და ყოველწლიურად უშვებენ 17 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ნაწარმს.

რესპუბლიკის მეურნეობათა ბევრ ხელმძღვანელს კარგად ესმის, რომ ფართო მოთხოვნის საქონლის წარმოება ფრიად სარგებლიანი საქმეა. მაგალითად, რესპუბლიკის ბიუჯეტში ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ბრუნვის გადასახადისა და მოგების ანარიცხების სახით ფართო მოხმარების პროდუქციის რეალიზაციის შედეგად შემოსულია 860 მილიონ მანეთზე მეტი. ახლად ორგანიზებული საწარმოები, რომლებიც ასეთ საქონელს ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენებისაგან უშვებენ, ორი წელიწადია არ იხდიან ბრუნვის გადასახადს, ხოლო საწარმოო გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ლიმიტის გადამეტებით ეძლევათ კრედიტი ახალი პროდუქციის გამოშვების ორგანიზაციისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საქონლის გამოშვების გასადიდებლად სამუშაოთა ოპერატიული ხელმძღვანელობისა და კოორდინაციისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილია რესპუბლიკური კომისია, რომელშიც შედიან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრები, კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვები.

— კომისიაში მოქმედებს ოთხი სამუშაო ჯგუფი, — ამბობს მისი თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ხაბეიშვილი. — მათი მიზანია რესპუბლიკის საწარმოებში სამომხმარებლო ნაკეთობათა ორგანიზაცია, ყველა მოხაწილის მოქმედების კოორდინაცია. ახლახან დადგინდა, რომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფაბრიკებში ტექნოლოგიურ მოწყობილობას რთვაში მხოლოდ სარაბეროდ იყენებენ, მაშინ როცა საშუალო საკავშირო მაჩვენებელი 83 პროცენტს აღწევს, კომისიამ დასახა ღონისძიებანი ამ რეზერვის გამოსაყენებლად.

დიდი რეზერვები გამოვლინდა რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის საწარმოებში. გამოთანგარიშებულია: თუ ქარხნებში, რომლებიც ძირითადად „ა“ ჯგუფის პროდუქციას უშვებენ, ფართო მოთხოვნის საქონლის ხვედრითი წილი გაიზრდება პროდუქციის საერთო გამოშვების 10 პროცენტამდე, შეიძლება დამატებით მივიღოთ 150 მილიონი მანეთის პროდუქცია. ამასთანავე, აქ ჯერ კიდევ დაბალია საქონლის წარმოების მოცულობა ხელფასის ფონდის ერთ მანეთზე. მაგალითად, რუსთავის ამწესაშენებელ ქარხანაში იგი მხოლოდ 62,1 კაპიკს შეადგენს, „ელმავალმშენებლის“ გაერთიანებაში — ამის ნახევარს, ხოლო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში „მიაღწიეს“ მაჩვენებელს... 2,4 კაპიკს.

იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ორგანიზაცია, დღენიადაგ უნდა ვაკოორდინირებდეთ რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა, ყველა საწარმოს მეცადინეობას მათი დაქვემდებარების მიუხედავად.

გ. ლეგანიძე,
(„პრავდის“ კორ.).

„პრავდა“, 1983 წ. 13.VI.

ISTORIKOSTA ZVLILI

KADREBIS SWAVLEGA

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სახელმწიფოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში დამთავრდა ქვეყნის რესპუბლიკური, სამხრეთ, საოლქო ცენტრებისა და სხვა დიდი ქალაქების პარტიის საქალაქო კომიტეტების პირველ მდივანთა სწავლება. ერთი თვის მანძილზე ისინი სწავლობდნენ კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის, ორგანიზატორული, იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის. საერთაშორისო სამმაინობის აქტუალურ საკითხებს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების, იმ დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა პლენუმზე, მისი მოხსენება „სსრ კავშირის სამოცი წელი“, სტატია „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი“.

პარტიის მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებში, სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პარტიულ კომიტეტებში მსმენელები გაეცნენ შრომითი კოლექტივების საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის დანერგვის, საგეგმო, საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკას. მსმენელებმა დაათვალიერეს გამოფენები „გამომგონებლობა და რაციონალიზაცია-83“ და „ავტომატიზაცია-83“.

სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, რომლებიც მოეწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობით, განხილეს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საქალაქო კომიტეტების საქმიანობის, პარტიული კომიტეტების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, შემდგომ წლისა და მოლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის შშრომელთა დარაზმვის საკითხები.

(საკდესი).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი და შემოღებულ იქნეს იგი სამოქმედოდ 1983 წლის 1 სექტემბრიდან.

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და შეუსაბამოს საქართველოს სსრ კანონმდებლობა ამ კოდექსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 4 ივნისი.

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გახსნის შესახებ

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია გაიხსნება 1983 წლის 16 ივნისს კრემლში კავ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

საბინაო კოდექსი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საჭირო წანამძღვრები ერთერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემის გადაჭრისათვის — ბინაზე მშრომელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც კომუნისტური საზოგადოების აშენების ლენინურ იდეებს და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების კურსს ახორციელებს, თანამიმდევრულად ასრულებს კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებულ საბინაო მშენებლობის პროგრამას.

სახელმწიფო გეგმების საფუძველზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარების სწრაფი ტემპი, ღონისძიებები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, საჭირო პირობებს ქმნის სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა ბინის უფლების უზრუნველსაყოფად.

დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანაა საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა, მისი გამოსადეგობის ვადის გადიდება, საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობის დონის ამაღლება. ამ ამოცანის გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოქალაქენი.

სსრ კავშირის კონსტიტუცია და საქართველოს სსრ კონსტიტუცია მოქალაქეებს ავალებს გაუფრთხილდნენ მათთვის მიცემულ ბინას.

საბჭოთა საბინაო კანონმდებლობა მოწოდებულია ხელს უწყობდეს მოქალაქეთა ბინის უფლების უზრუნველყოფას, საბინაო ფონდის ეფექტიან გამოყენებასა და დაცვას.

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ მოქალაქეთა ბინის უფლება.

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ ბინის უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარება და დაცვა, კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხელშეწყობა, კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობის პროგრამის განხორციელების კვალობაზე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივი კონტროლის გაწევით, აგრეთვე ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის სიმცირე.

მუხლი 2. საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობის ამოცანები.

საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობის ამოცანებს შეადგენს საბინაო ურთიერთობის მოწესრიგება სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა ბინის უფლების, საბინაო ფონდის სათანადო გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე კანონიერების განმტკიცება საბინაო ურთიერთობათა დარგში.

მუხლი 3. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო ურთიერთობას აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები და მათს შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის საბინაო კანონმდებლობის სხვა აქტები, ეს კოდექსი და საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობის სხვა აქტები.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობას აწესრიგებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 4. საბინაო ფონდი.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე საცხოვრებელი სადგომები სხვა ნაგებობებში ქმნიან საბინაო ფონდს.

საბინაო ფონდში შედის: სახელმწიფო საბინაო ფონდი, საზოგადოებრივი საბინაო ფონდი, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ფონდი და ინდივიდუალური საბინაო ფონდი.

საბინაო ფონდში შედის აგრეთვე სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო-კოოპერაციული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კუთვნილი საცხოვრებელი სახლები. ამ სახლების მიმართ გამოიყენება წესები, რომლებიც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძველებით დადგენილია საზოგადოებრივი საცხოვრებელი ფონდისათვის.

საცხოვრებელი სახლების არასაცხოვრებელი სადგომები, რომლებიც განკუთვნილია სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და არასამრეწველო ხასიათის სხვა საჭიროებებისათვის, საბინაო ფონდში არ შედის.

მუხლი 5. სახელმწიფო საბინაო ფონდი.

სახელმწიფოს კუთვნილი საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი სადგომები სხვა ნაგებობებში შეადგენს სახელმწიფო საბინაო ფონდს.

სახელმწიფო საბინაო ფონდი არის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამგეობებში (ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდი) და სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გამგეობებში (საუწყებო საბინაო ფონდი).

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში არსებული საუწყებო საბინაო ფონდის სახლები თანდათან უნდა გადაეცეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამგეობებში იმ წესით და ვადებში, რომელთაც განსაზღვრავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 6. საზოგადოებრივი საბინაო ფონდი.

კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კუთვნილი საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი სადგომები სხვა ნაგებობებში შეადგენს საზოგადოებრივ საბინაო ფონდს.

მუხლი 7. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფონდი.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების კუთვნილი საცხოვრებელი სახლები შეადგენს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფონდს.

მუხლი 8. ინდივიდუალური საბინაო ფონდი.

მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები შეადგენს ინდივიდუალურ საბინაო ფონდს.

მუხლი 9. საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების დანიშნულება.

საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი სადგომები განკუთვნილია მოქალაქეთა მუდმივი ბინადრობისათვის, აგრეთვე დადგენილი წესით სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომებად და საერთო საცხოვრებლად გამოყენებისათვის.

აკრძალულია საცხოვრებელი სახლების სადგომების სამრეწველო ხასიათის საჭიროებებისათვის მიცემა.

სარდაფისა და ნახევარსარდაფის საცხოვრებლად გადაკეთება არ დაიშვება.

მუხლი 10. საბინაო ფონდიდან საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების ამორიცხვა.

პერიოდულად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში, წარმოებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლების გამოკვლევა. საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლები და სადგომები გადაკეთდება სხვა მიზნით გამოსაყენებლად ან ასეთი სახლები აიღება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების ტექნიკური და სანიტარიული გამოკვლევის ჩატარებისა და მათი საცხოვრებლად გამოუსადეგრად ცნობის წესს, აგრეთვე სხვა მიზნით გამოსაყენებად გადაკეთების ან აღების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 11. საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების არასაცხოვრებლად გადაყვანა.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელ ვარგისი საცხოვრებელი სახლებისა და ასეთ სახლებში არსებული საცხოვრებელი სადგომების არასაცხოვრებლად გადაყვანა, როგორც წესი, არ დაიშვება. გამონაკლის შემთხვევებში საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების არასაცხოვრებლად გადაყვანა შეიძლება ამ კოდექსის მე-10 მუხლში აღნიშნული ორგანოების გადაწყვეტილებით. საუწყებო საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების არასაცხოვრებლად გადაყვანა ხდება შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალური ორგანოების წინადადებებით.

კოლმეურნეობების კუთვნილი საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების არასაცხოვრებლად გადაყვანა ხდება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლები არასაცხოვრებლად გადაყვანა დაუშვებელია. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში კოოპერატივის საჭიროებისათვის ცალკეული საცხოვრებელი სადგომების არასაცხოვრებლად გადაყვანა შეიძლება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც შემდგომ ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის), ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 12. მოქალაქეთა საბინაო უფლებები.

საქართველოს სსრ მოქალაქეს უფლება აქვთ დადგენილი წესით მიიღონ საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში.

საცხოვრებელი სადგომები სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში მოქალაქეებს ეძლევათ უვადო სარგებლობისათვის.

მოქალაქეებს უფლება აქვთ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად პირად საკუთრებაშიც ჰქონდეთ საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი).

არავინ არ შეიძლება გამოსახლებულ იქნეს დაკავებული საცხოვრებელი სადგომიდან ან ვინმეს შეეზღუდოს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება თუ არა კანონით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით.

მუხლი 13. მოქალაქეთა საბინაო მოვალეობანი.

მოქალაქენი მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ სახლს, სადაც ისინი ცხოვრობენ, გამოიყენონ საცხოვრებელი სადგომი დანიშნულებისამებრ, დაიცვან საცხოვრებელი სადგომებთან სარგებლობის წესები და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, ეკონომიურად ხარჯონ წყალი, გაზი, ელექტროენერგია და თბოენერგია.

მოქალაქეებს არ შეუძლიათ საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი სადგომები გამოიყენონ პირადი გამორჩენის, არაშრომითი შემოსავლის მიღების და სხვა ანგარებითი მიზნებისათვის, აგრეთვე საზოგადოების ინტერესების საზიანოდ.

მუხლი 14. მოქალაქეთა ბინის უფლების დაცვა.

მოქალაქეთა ბინის უფლებას იცავს კანონი. აკრძალულია მოქმედება, რომელიც მოქალაქეებს ხელს უშლის მათი ბინის უფლების განხორციელებაში.

მუხლი 15. სსრ კავშირის კომპეტენცია საბინაო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის გამგებლობას საბინაო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში განეკუთვნება:

1) საბინაო ურთიერთობათა საკანონმდებლო მოწესრიგება ერთიანობის უზრუნველყოფა;

2) საკავშირო დაქვემდებარების საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობა, საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საბინაო მეურნეობის საერთო ხელმძღვანელობა;

3) საბინაო მეურნეობის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის ზოგადი საწყისების დადგენა;

4) საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის საგეგმო დავალებათა დამტკიცება მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიხედვით;

5) ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება საბინაო ფონდის რემონტის დარგში;

6) საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და რემონტისათვის საფინანსო და მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმატივების დადგენა მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიხედვით;

7) საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის ერთიანი წესის დადგენა;

8) საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის, საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და ამ სადგომებით სარგებლობის ძირითადი წესების დადგენა;

9) ბინის ქირის ოდენობისა და საცხოვრებელი სადგომების და კომუნალური მომსახურების გადასახდელის შეღავათის დადგენა;

10) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი წესების დადგენა;

11) სახელმწიფო კონტროლი საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი და მისი განხორციელების წესის დადგენა;

12) საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის სხვა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად.

მუხლი 16. საქართველოს სსრ კომპეტენცია საბინაო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში.

საქართველოს სსრ გამგებლობას საბინაო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ განეკუთვნება:

1) საბინაო ურთიერთობათა საკანონმდებლო მოწესრიგება რესპუბლიკაში;

2) საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობა, ამ მეურნეობის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის დადგენა;

3) რესპუბლიკაში საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის საგეგმო დავალებათა დამტკიცება;

4) რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის განხორციელება;

5) საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის, საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და ამ სადგომებით სარგებლობის წესის დადგენა;

6) ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის შეტანის წესისა და ვადების დადგენა;

7) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის, მათი წევრების უფლებებისა და მოვალეობების დადგენა;

8) საცხოვრებელი სახლების ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების და სახლისპირა ტერიტორიებით სარგებლობის წესის დადგენა;

9) საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

10) საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის სხვა საკითხთა გადაწყვეტა, თუ ისინი სსრ კავშირის კომპეტენციას არ განეკუთვნება.

მუხლი 17. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია საბინაო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ გამგებლობას საბინაო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციის ფარგლებს გარეთ განეკუთვნება:

1) რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობა;

2) ავტონომიურ რესპუბლიკაში საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის საგეგმო დავალებათა დამტკიცება;

3) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის განხორციელება;

4) საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

5) საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის სხვა საკითხთა გადაწყვეტა, თუ ისინი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციას არ განეკუთვნება.

მუხლი 18. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს უფლებამოსილებანი საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დარგში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო:

1) ხელმძღვანელობს საოლქო დაქვემდებარების საბინაო მეურნეობას;

2) უზრუნველყოფს ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში არსებული საბინაო ფონდის დაცვა-შენახვას, სწორ ექსპლუატაციას, კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს;

3) ორგანიზაციას უწევს საუწყებო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მდგომარეობისა და ექსპლუატაციისადმი, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებისა და მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული სახლების მოვლა-პატრონობისადმი;

5) ეწევიან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვას;

6) ანაწილებენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს კუთვნილ საბინაო ფონდს და ანაწილებენ მოქალაქეებს საცხოვრებელ სადგომებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახლებში; ახორციელებენ კონტროლს საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის სისწორისადმი, და საუწყებო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის სისწორისადმი;

7) წყვეტენ საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის სხვა საკითხებს სსრ კავშირის კანონმდებლობის, ამ კოდექსისა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების უფლებამოსილებანი საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დარგში.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად:

1) ხელმძღვანელობენ საქვეუწყებო საბინაო მეურნეობას;

2) ამტკიცებენ რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, დაბის, სოფლის საბინაო მეურნეობის განვითარების საგეგმო დავალებებს და კონტროლს უწევენ მათს შესრულებას;

3) უზრუნველყოფენ საბჭოს გამგებლობაში არსებული საბინაო ფონდის ჯეროვან ტექნიკურ მდგომარეობას, კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს;

4) ახორციელებენ კონტროლს საუწყებო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მდგომარეობისა და ექსპლუატაციისადმი, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებისა და მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული სახლების მოვლა-პატრონობისადმი;

5) ეწევიან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვას;

6) ანაწილებენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს კუთვნილ საბინაო ფონდს და აძლევენ მოქალაქეებს საცხოვრებელ სადგომებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახლებში; ახორციელებენ კონტროლს საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის სისწორისადმი, და საუწყებო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის სისწორისადმი;

7) წყვეტენ საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის სხვა საკითხებს სსრ კავშირის კანონმდებლობის, ამ კოდექსისა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20. სახელმწიფო მართვა საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დარგში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახელმწიფო მართვას საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დარგში ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, მათი საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და მოქალაქეებისათვის.

მუხლი 21. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილებანი საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დარგში.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს კოორდინაციას საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დარგში.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს აქტები, რომლებიც მისი კომპეტენციის ფარგლებში გამოიცემა, სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, მათი საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და მოქალაქეებისათვის.

მუხლი 22. სახელმწიფო საბინაო ფონდის მართვის განმახორციელებელი ორგანოები.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის მართვას ახორციელებენ მათი აღმასრულებელი კომიტეტები და მათ მიერ შექმნილი მმართველობის ორგანები.

საუწყებო საბინაო ფონდის მართვას ახორციელებენ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები.

მუხლი 23. საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვის განმახორციელებელი ორგანოები.

საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვას ახორციელებენ კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების მმართველობის ორგანოები, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოები (დებულების) შესაბამისად.

მუხლი 24. ხანაბინო-სამშენებლო კოოპერატივების ფონდის მართვის განმახორციელებელი ორგანოები.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფონდის მართვას ახორციელებენ კოოპერატივების მმართველობის ორგანოები თავიანთი წესდებების შესაბამისად.

მუხლი 25. საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციები.

სახელმწიფოო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ექსპლუატაციისათვის იქმნება საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა ხორციელდება სამეურნეო „ანგარიშის საფუძველზე.

საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ საბინაო ფონდის დაცვა-შენახვას და სათანადო გამოყენებას, მოქალაქეთა მომსახურების მაღალ დონეს, აგრეთვე კონტროლს უწევენ მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესების დაცვას.

საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაცია შეიძლება გასწიოს მხოლოდ ერთმა საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციამ. თუ საუწყებო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლების ექსპლუატაციისათვის არ შეიძლება შეიქმნას საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაცია, სახლების ექსპლუატაციას უშუალოდ ახორციელებს შესაბამისი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების ტიპობრივ დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ან სსრ კავშირის სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი, უწყება.

მუხლი 26. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვასა და მისი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში.

პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი საწესდებო ამოცანების შესაბამისად, აგრეთვე მოქალაქენი მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვასა და მისი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა, საცხოვრებელი ფართობის მიღებაზე რიგითობის დადგენა, აგრეთვე მისი განაწილება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ხორციელდება საზოგადოებრივი კონტროლით და საჯაროობის დაცვით.

მუხლი 27. საბინაო ფონდის მართვასა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მონაწილეობის წესი.

სახლის კომიტეტები და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოები თავიანთი დებულებების შესაბამისად ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში, მონაწილეობენ საბინაო ფონდის მართვაში და მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი სადგომების გამოყენებისა და საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობის წესების დაცვისადმი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში.

მუხლი 28. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვასა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში მოქალაქეთა მონაწილეობა წესი.

მოქალაქენი მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვასა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში იმ გზით, რომ ხელს უწყობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ისეთ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც მიზნად ისახავენ საბინაო ფონდის გამოყენების გაუმჯობესებას, მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციას, შეაქვთ წინადადებანი ამ საკითხებზე.

მუხლი 29. სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მოვალეობა — გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებანი.

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირები მოვალენი არიან საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებისას ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებანი.

მუხლი 30. ახლად აშენებულ სახლებში შესახლებელად მენაშენეთა მიერ საცხოვრებელი ფართობის ნაწილის გადაცემა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს განსაზღვროს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ახლად აშენებულ სახლებში შესასახლებლად მენაშენეთა მიერ საცხოვრებელი ფართობის ნაწილის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის გადაცემის საფუძვლები და პირობები, აგრეთვე გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის ფლენობა.

მუხლი 31. საცხოვრებელი ფართობის განაწილება წილობრივი მონაწილეობის წესით გადაცემული სახსრების ხარჯზე აშენებულ სახლებში.

წილობრივი მონაწილეობის წესით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახსრების გამოყენებით აშენებულ სახლებში საცხოვრებელი ფართობი შესასახლებლად ნაწილდება მშენებლობის მონაწილეთა შორის მათ მიერ გადაცემული სახსრების პროპორციულად.

აღნიშნული საცხოვრებელი ფართობის განაწილება მშენებლობის მონაწილეთა შორის ხდება მას შემდეგ, როდესაც ამ კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე აშენებული საცხოვრებელი ფართობის ნაწილი გადაეცემა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და სხვა ორგანიზაციებს.

მუხლი 32. საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით სსრ კავშირის მნიშვნელობის საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 33. სახელმწიფო კონტროლი საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი.

საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს, რომ ყველა სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი, უწყება, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი, თანამდებობის პირი და მოქალაქე იცავდეს საცხოვრებელი ფართობის განაწილებისა და მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესს, საბინაო ფონდით სარგებლობისა და მისი ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში შენახვის წესებს.

მუხლი 34. საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები.

საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლი ხორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კარი II

საბინაო ფონდის მართვა

მუხლი 35. მოქალაქეთა უფლება საცხოვრებელი სადგომის მიღებაზე.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეებს უფლება აქვთ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

საბინაო კოდექსი

საქართველოს სსრ-ის

(დასაბეჭდი)

სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ჭირების წვრილმანი დატაცებისათვის;

2) რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას;

3) რომელმაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ხელოვნურად გაუთარეა საბინაო პირობები;

4) რომელიც მსჯავრდებულია დანაშაულის ჩადენისათვის, თუ ამასთან იგი ამ კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად არ არის მოსახსნელი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ პირთა ორრიცხვიდან;

5) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

რიგის გადატანის საკითხს შესაბამისად წყვეტენ ამ კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილში აღნიშნული ორგანოები.

მუხლი 45. საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის მდგომარეობის კონტროლი

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის მდგომარეობის კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და პროფესიული კავშირთა შესაბამისი ორგანოები.

მუხლი 46. საცხოვრებელი სადგომების პირველ რიგში მიცემა

პირველ რიგში საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ:

1) დიდი სამამულო ომის ინვალიდებს და დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა (პარტიზანთა) ოჯახებს და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებულ პირებს;

2) საბჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებს, აგრეთვე სამივე ხარისხის დიდების, „შრომითი დიდებისა და „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“ ორდენებით დაჯილდოებულ პირებს;

3) პირებს, რომლებსაც აქვთ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებულ დაავადებათა ნუსხაში ჩამოთვლილი ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მძიმე ფორმა;

4) სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პერიოდში და სსრ კავშირის დაცვის სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობაში მყოფ პირებს, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პარტიზანებს, აგრეთვე სსრ კავშირის დაცვის საბრძოლო ოპერაციების მონაწილე სხვა პირებს;

5) I და II ჯგუფის შრომის ინვალიდებს და I II ჯგუფის ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთაგან;

6) სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის, სოციალისტური საკუთრებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობის მოხდის დროს ან წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულ პირთა ოჯახებს;

7) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც დიდხანს კეთილსინდისიერად იმუშავეს წარმოების სფეროში;

8) დედებს, რომელთაც მიენიჭათ „მამრი დედის“ წოდება, ბრავალშვილიან ოჯახებსა და მარტოხელა დედებს;

9) ოჯახებს ტყუპების გაჩენისას.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით საცხოვრებელი სადგომის პირველ რიგში მიღების უფლება შეიძლება მიეცეთ სხვა კატეგორიათა მოქალაქეებსაც.

მუხლი 47. საცხოვრებელი სადგომების რიგგარეშე მიცემა

საცხოვრებელი სადგომები რიგგარეშე ეძლევათ:

1) მოქალაქეებს, რომელთა ბინა საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა სტიქიური უბედურების შედეგად;

2) პირებს, რომლებიც დაბრუნდნენ სახელმწიფო საბაჟვო დაწესებულებებიდან, ნათესავებთან, მეუღლესთან ან მზრუნველთან ყოფნის შემდეგ, თუ მათი შესახლება წინათ დაკავებულ სადგომში შეუძლებელია;

3) მოქალაქეებს, რომლებსაც უკანონოდ დაიდოთ მსჯავრი და შემდეგ რეაბილიტირებულ იქნენ — თუ მათთვის წინათ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის დაბრუნება შეუძლებელია;

4) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 48. საცხოვრებელი ფართობის ნორმა

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის ნორმა დადგენილია ერთ სულზე თორმეტი კვადრატული მეტრის ოდენობით.

საცხოვრებელი სადგომის მიცემა ხდება საცხოვრებელი ფართობის ნორმის ფარგლებში, მაგრამ არანაკლებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი ოდენობისა.

მუხლი 49. დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება

საცხოვრებელი ფართობის ნორმის გადამეტებით მოქალაქეთა ცალკეულ კატეგორიებს ეძლევათ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი ოთახის სახით ან ათი კვადრატული მეტრის ოდენობით. მოქალაქეებს, რომლებსაც ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მძიმე ფორმა აქვთ, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებსაც ეს ფართობი ესაჭიროებათ შესასრულებელი სამუშაოს პირობებისა და ხასიათის გამო, დამატებითი საცხოვრებელი ფართობის ოდენობა შეიძლება გაუდიდდეთ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად დამატებითი საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესსა და პირობებს და მისი მიღების უფლების მქონე მოქალაქეთა კატეგორიების ნუსხას ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 50. მოთხოვნები საცხოვრებელი სადგომებისადმი

საცხოვრებელი სადგომი, რომელიც მოქალაქეს ბინადრობისათვის ეძლევა, უნდა იყოს კეთილმოწყობილი მოცემული დასახლებული პუნქტის პირობების კვალობაზე, შეესაბამებოდეს დადგენილ სანიტარულ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

მისაცემი საცხოვრებელი სადგომი უნდა იყოს მოცემული დასახლებული პუნქტის ფარგლებში.

არ დაიშვება ავარიულ და ძველებულ სახლებში, საერდაფებში, ბარაკებსა და საცხოვრებლად გამოუსადეგარ სხვა სადგომებში, აგრეთვე ასაღები, კაპიტალურად შესარემონტებელი, ანდა ორასანცხოვრებლად გადასაყვანი სახლების გათავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომებში შესახლება.

მუხლი 51. საცხოვრებელი სადგომების მიცემისას მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება

საცხოვრებელი სადგომის მიცემისას არ დაიშვება ერთ ოთახში ცხრა წლის ასაკს გადაცილებული სხვადასხვა სქესის პირთა შესახლება, მეუღლეთა გარდა.

საცხოვრებელი სადგომის მიცემისას მხედველობაში მიიღება მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა, აგრეთვე სხვა ყურადსაღები გარემოებანი. იბვალიდებს, ღრმად მოხუცებულებს, გულ-სისხლძარღვთა და სხვა მძიმე დაავადებებით სნეულ პირებს საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ, მათი სურვილის გათვალისწინებით, ქვედა სართულზე ან ლიფტიან სახლებში.

მისაცემი საცხოვრებელი სადგომის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, თუ არის ოჯახში ორსული ქალი.

მუხლი 52. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახლნამო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახლნამო ფონდის სახლებში საცხოვრებელ სადგომებს მოქალაქეებს ანაწილებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოების დეპუტატთაგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთაგან აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილი სახლნამო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიის მონაწილეობით.

მუხლი 53. საუწყებო სახლნამო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი

საუწყებო სახლნამო ფონდის სახლებში საცხოვრებელ სადგომებს მოქალაქეებს ანაწილებენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ გათვალისწინებულ შემთხვევებში — ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით შესასახლებლად საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის შედგომი შეტყობინებით.

მუხლი 54. საზოგადოებრივი სახლნამო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი

საზოგადოებრივი სახლნამო ფონდის სახლებში საცხოვრებელ სადგომებს მოქალაქეებს ანაწილებს შესაბამისი ორგანიზაციის ორგანოსა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით შესასახლებლად საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის.

მუხლი 55. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის გადაცემული სახლების, აგრეთვე წილობრივი მონაწილეობის წესით აშენებული სახლების საცხოვრებელ სადგომებში შესახლება.

საცხოვრებელ სადგომებში, რომლებიც თავისუფლდება სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის გადაცემულ სახლებში, აგრეთვე იმ სახლების განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომებში, რომლებიც აშენებულია წილობრივი მონაწილეობის წესით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახსრების გამოყენებით, პირველ რიგში შეასახლებენ ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მუშაკებს. შესახლების აღნიშნული წესი გამოიყენება საცხოვრებელი სახლის გადაცემის ან მშენებლობის დამთავრების დროის მიუხედავად.

მუხლი 56. ბინაში გათავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომში შესახლება

თუ ბინაში, სადაც დამქირავებელი ცხოვრობს, გათავისუფლდა ოთახი, რომელიც იზოლირებული არ არის მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომისაგან და მისი მომიჯნავეა, იგი სარგებლობაში უნდა გადაეცეს დამქირავებელს.

თუ იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი თავისუფლდება ბინაში, რომელშიც რამდენიმე დამქირავებელი ცხოვრობს, იგი მიეცემა ბინაში მცხოვრებ იმ მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე ან რომლებსაც აქვთ აღრიცხვაზე აყვანის უფლება, ხოლო თუ ასეთები არ არიან — იმ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ ამ კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ნორმაზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი.

მუხლი 57. ორდერი საცხოვრებელ სადგომზე

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიცემის გადაწყვეტილების საფუძველზე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეს ორდერს, რომელიც მიეცემულ საცხოვრებელ სადგომში შესახლების ერთადერთი საფუძველია.

ორდერი შეიძლება გაიცეს მხოლოდ თავისუფალ იზოლირებულ საცხოვრებელ სადგომზე.

ორდერის ფორმას აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამხედრო ქალაქებში ორდერები საცხოვრებელ სადგომებზე გაიცემა სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 58. საცხოვრებელ სადგომზე ორდერის ბათილად ცნობის საფუძველი და წესი

ორდერი საცხოვრებელ სადგომზე შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლო წესით იმ შემთხვევებში, როცა მოქალაქეებმა წარმოადგინეს საბინაო პირობების გაუმჯობესების ისეთი ცნობები, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს, დარღვეულია მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა უფლებანი ორდერში აღნიშნულ საცხოვრებელ სადგომზე, არამართლზომიერია თანამდებობის პირთა მოქმედება საცხოვრებელი სადგომის მიცემის საკითხის გადაწყვეტისას, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, როცა დარღვეულია საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი და პირობები.

მოთხოვნა ორდერის ბათილად ცნობის შესახებ შეიძლება განცხადებულ იქნეს ორდერის გაცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში.

მუხლი 59. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და მათთვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესები

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და მათთვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესებს ამტკიცებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირთა რესპუბლიკური საბჭო.

თავი მეორე

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობა

მუხლი 60. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების დადება.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება იდება წერილობით საცხოვრებელი სადგომის ორდერის საფუძველზე გამქირავებელს — საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას (თუ ასეთი არ არის — შესაბამის საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას) და დამქირავებელს — მოქალაქეს, რომლის სახელზე გაცემულია ორდერი, შორის.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად ხორციელდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლების საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ტიპობრივ ხელშეკრულებას, საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობის მიმართ შესაბამის შემთხვევებში გამოიყენება აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამოქალაქო კანონმდებლობის წესები.

მუხლი 61. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ქირავნობის ხელშეკრულების საგანი, როგორც წესი, არის ცალკე ბინა ან სხვა იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი, რომელიც ერთი ან რამდენიმე ოთახისაგან შედგება.

ქირავნობის ხელშეკრულების დამოუკიდებელი საგანი ვერ იქნება საცხოვრებელი სადგომი, თუნდაც იზოლირებული, მაგრამ ამ კოდექსის 48-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად დადგენილ ოდენობაზე ნაკლები, ოთახის ნაწილი ან ოთახი, რომელიც საერთო გასასვლელით უკავშირდება მეორე ოთახს (მომიჯნავე ოთახები), აგრეთვე დამხმარე სათავსები (სამზარეულო, დერეფანი, საკუთარი და ა. შ.).

მუხლი 62. დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობანი

დამქირავებლის ოჯახის წევრები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ დამქირავებლის თანაბრად სარგებლობენ ყველა უფლებით და ეკისრებათ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა მოვალეობა. ოჯახის სრულწლოვან წევრებს დამქირავებელთან ერთად ეკისრებათ სოლიდარული ქონებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის.

დამქირავებლის ოჯახის წევრებს განეკუთვნებიან მასთან მუდმივად მცხოვრები დამქირავებლის მეუღლე, მათი შვილები და მშობლები. დამქირავებლის ოჯახის წევრებად შეიძლება ცნობილ იქნენ აგრეთვე სხვა ნათესავები და შრომისუუნარო კმაყოფაზე მყოფნი, თუ ისინი მუდმივად ცხოვრობენ დამქირავებელთან და ეწევიან საერთო მეურნეობას მასთან ერთად.

თუ ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული მოქალაქენი აღარ არიან დამქირავებლის ოჯახის წევრები, მაგრამ განაგრძობენ იმავე სადგომში ცხოვრებას, მათ აქვთ ისეთივე უფლება-მოვალეობანი, როგორც დამქირავებელს და მისი ოჯახის წევრებს.

მუხლი 63. დამქირავებლის უფლება საცხოვრებელ სადგომში ოჯახის წევრებად სხვა მოქალაქეთა ჩასახლებაზე

დამქირავებელს უფლება აქვს დადგენილი წესით მასთან ერთად მცხოვრებ. ოჯახის წევრების თანხმობით ჩაისახლოს თავისი მეუღლე, შვილები, შშობლები, სხვა ნათესავები და შრომისუუნარო კმაყოფაზე მყოფნი საცხოვრებელ სადგომში, რომელიც მას უკავია. ასეთი თანხმობა არ არის საჭირო შშობლებთან მათი არასრულწლოვანი შვილების ჩასახლებაზე.

ამ მუხლის შესაბამისად საცხოვრებელ სადგომში ჩასახლებული პირნი იძენენ ოჯახის ყველა დანარჩენი წევრის თანაბრად საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას, თუ ჩასახლებისას არ ყოფილა სხვა შეთანხმება დამქირავებელთან და მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებთან.

მუხლი 64. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის გადასახდელი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისათვის გადასახდელი (ბინის ქირის) ოდენობას ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ერთჯერადი ოდენობით ნაზღაურდება საცხოვრებელი ფართობი, რომელიც დამქირავებელს და მისი ოჯახის წევრებს ერგებათ დაწესებული ნორმების მიხედვით, აგრეთვე ზედმეტი ფართობი, თუ მისი ოდენობა არ აღემატება მთელ ოჯახზე გაანგარიშებული საცხოვრებელი ფართობის იმ ნორმის ნახევარს, რომელიც ერთ სულს ერგება. დანარჩენი ზედმეტი საცხოვრებელი ფართობით სარგებლობისათვის საფასური გადახდებათ მომეტებული ოდენობით, რომელსაც ადგენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 65. კომუნალური მომსახურების გადასახდელი

კომუნალური მომსახურებისათვის (წყალმომარაგება, გაზი, ელექტროენერგია, თბოენერგია და სხვა მომსახურება) საფასური მობინადრეებს გადახდებათ ბინის ქირის გარდა დადგენილი წესით დამტკიცებული ტარიფების მიხედვით.

მუხლი 66. ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის შეტანის წესი და ვადები

დამქირავებელი მოგალეა დროულად შეიტანოს ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების გადასახდელი.

დამქირავებელს ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების გადასახდელი შეაქვს არა უგვიანეს მომდევნო თვის ათი რიცხვისა.

მუხლი 67. ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის შეღავათები

ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის შეღავათებს აწესებს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

კოლმეურნეობათა კუთვნილ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეებს შეიძლება მიეცეთ ბინის ქირის გადახდის შეღავათი კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 68. გათბობისა და გაცხელების მქონე საცხოვრებელი სადგომით უფასო სარგებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ სოფლად, დასახლებული პუნქტების ფარგლებს გარეთ (ხოლო სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში — მუშათა და სხვა დაბებში), უფასოდ სარგებლობენ გათბობისა და განათების მქონე საცხოვრებელი სადგომებით.

მუხლი 69. დროებით სხვაგან მყოფ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომის შენახვა

დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრთა დროებით სხვაგან ყოფნის შემთხვევაში მათ ენახებათ საცხოვრებელი სადგომი ექვსი თვის მანძილზე.

საცხოვრებელი სადგომი დროებით სხვაგან მყოფ დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს უფრო ხანგრძლივი ვადით უნახავს მაშინ, როდესაც:

1) გაწვეული არიან ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში— ვადიანი სამხედრო სამსახურის გავლის მთელი დროის მანძილზე, აგრეთვე სამ წლამდე ვადით ნამდვილ სამხედრო სამსახურში თადარიგის ოფიცერთა გაწვევისას — ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდისათვის, იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში პრაპორშიკებად, — მიჩმანებად და ზვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებად — ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნის პირველი ხუთი წლის მანძილზე;

2) დროებით სხვაგან წავლენ მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მუშაობის პირობებისა და ხასიათის გამო (გემების ეკიპაჟების, საძიებო პარტიების, ექსპედიციების მუშაკები და ა. შ), ანდა სწავლასთან დაკავშირებით (სტუდენტები, ასპირანტები და ა. შ.) — მოცემული სამუშაოს შესრულების ან სწავლის მთელი დროის მანძილზე;

3) ბავშვები აღსაზრდელად იმყოფებიან სახელმწიფო სანავშვო დაწესებულებებში, ნათესავებთან, მეურვესთან ან მზრუნველთან — ამ დაწესებულებებში, ნათესავებთან, მეურვესთან ან მზრუნველთან მათი ყოფნის მთელი დროის მანძილზე, თუ საცხოვრებელ სადგომში, საიდანაც ბავშვები წავიდნენ, საცხოვრებლად დარჩნენ ოჯახის სხვა წევრები. თუ საცხოვრებელ სადგომში, საიდანაც ბავშვები წავიდნენ, საცხოვრებლად არ დარჩენილან ოჯახის სხვა წევრები და სადგომში შესახლდნენ სხვა პირნი, ანდა სხვა მიზეზების გამო ამ სადგომში შესახლება შეუძლებელია, ამ ბავშვებს სახელმწიფო სანავშვო დაწესებულებებში, ნათესავებთან, მეურვესთან (მზრუნველთან) ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ რიგგარეშე მიეცემათ საცხოვრებელი სადგომი (ამ კოდექსის 47-ე მუხლი);

4) წასული არიან მეურვის (მზრუნველის) მოვალეობის შესასრულებლად — ამ მოვალეობის შესრულების მთელი დროის მანძილზე;

5) გაემგზავრებიან სამკურნალოდ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში — ამ დაწესებულებაში ყოფნის მთელი დროის მანძილზე;

6) მოთავსებული არიან სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში — პროფილაქტორიუმში ყოფნის მთელი დროის მანძილზე;

7) არიან დაპატიმრებული — საქმის გამოძიების ან სამართალში ყოფნის მთელი დროის მანძილზე;

8) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

ამ მუხლის 1-7 პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება სხვაგან მყოფს შეუნარჩუნდება ამ პუნქტებში აღნიშნული ვადების დამთავრების დღიდან ექვსი თვის მანძილზე. დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრის 6 თვეზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთით, გადასახლებით ან გასახლებით, მსჯავრდების შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება შენარჩუნებულ იქნება განაჩენის აღსრულების დღიდან 6 თვის მანძილზე.

დადგენილი ვადების გადამეტებით სხვაგან ყოფნის შედეგად საცხოვრებელი სადგომით სარგებლობაზე უფლებადაკარგულად პირის ცნობა ხდება სასამართლო წესით.

თუ დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრი საპატიო მიზეზით იყვნენ სხვაგან ექვს თვეზე მეტი ხნის ვადით, ეს ვადა დამქირავებლის ან ოჯახის სხვაგან მყოფი წევრის განცხადებით შეუძლია გაგრძელოს გამქირავებელმა, ხოლო დავის შემთხვევაში — სასამართლომ.

მუხლი 70. დროებით სხვაგან მყოფი დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრის უფლება-მოვალეობანი

დამქირავებლის, მისი ოჯახის წევრთა დროებით სხვაგან ყოფნის შემთხვევაში (ამ კოდექსის 69-ე მუხლი) სხვაგან მყოფნი ინარჩუნებენ ამ სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას და ეკისრებათ ყველა მოვალეობა.

საცხოვრებელი ფართობი, რომლის სარგებლობის უფლებაც ენახება დროებით სხვაგან მყოფ მოქალაქეს, არ ითვლება ზედმეტ საცხოვრებელ ფართობად.

მუხლი 71. საცხოვრებელი სადგომის დაკავება

დამქირავებელთა და მათი ოჯახების წევრთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომები იჯავრნება, თუ ისინი ბინადრობენ საზღვარგარეთ სამუშაოდ — საზღვარგარეთ ყოფნის მთელი დროისათვის, თუ მიდიან სამუშაოდ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და ამ რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში — შრომითი ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროისათვის, ხოლო სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და ამ რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში ყოფნის მთელი დროისათვის.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საცხოვრებელი სადგომების დაჯავშნის სხვა შემთხვევებიც.

თუ დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები დაცვის მოწმობის (ჯავშნის) ვადის გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში არ შესახლდებიან ჯავშნით დაცულ სადგომში, მაშინ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს სასამართლო წესით.

მუხლი 72. საცხოვრებელი სადგომების დაჯავშნის წესი

საცხოვრებელი სადგომის დაცვის მოწმობას (ჯავშანს) გასცემს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს დასაჯავშნი სადგომი. თუ ჯავშნის გაცემის საფუძვლად მიღებული გარემოებანი მისი მოქმედების ვადის გასვლამდე შეწყდა, ან, პირიქით, მისი ვადის გასვლის შემდეგაც გრძელდება, მაშინ ჯავშნის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ან შესაბამისად გაგრძელდეს.

დაცვის მოწმობის (ჯავშნის) გაცემაზე უარის თქმის, მისი ბათილად ცნობის, მოქმედების ვადის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წამოჭრილი დავა წყდება სასამართლო წესით.

მუხლი 73. შემთხვევები, როცა არ დაიშვება დაცვის მოწმობის (ჯავშნის) გაცემა

დაცვის მოწმობა (ჯავშანი) არ მიეცემათ:

1) ქვემოქირავნეებსა და დროებითს მდგმურებს;

2) სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომებში და საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ პირებს;

3) იმ პირებს, რომელთა მიმართ განაცხადეს მოთხოვნა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლის ან მოშლის შესახებ — დავის დადგენილი წესით გადაწყვეტამდე.

მუხლი 74. დაჯავშნული საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა

დამქირავებელს უფლება აქვს ქვექირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გააქირაოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში მდებარე დაჯავშნული საცხოვრებელი სადგომი ან ჩაასახლოს ამ სადგომში დროებითი მდგმური დაცვის მოწმობის (ჯავშნის) მოქმედების ვადის ფარგლებში.

საცხოვრებელი სადგომის ქირის გადახდა და მისი სათანადო მოვლა-შენახვა დამქირავებლის მოვალეობაა.

მუხლი 75. დაჯავშნულ სადგომში დროებით მცხოვრებ პირთა მოვალეობა — გაათავისუფლონ იგი

დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრთა დაბრუნების შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მოითხოვონ დაჯავშნული საცხოვრებელი სადგომის დაუყოვნებელივ გათავისუფლება დაცვის მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად.

თუ ქვემოქირავნენი ან დროებით მდგმურნი უარს ამბობენ გაათავისუფლონ სადგომი, მაშინ ისინი დამქირავებლის მოთხოვნით შეიძლება გამოსახლებულ იქნენ სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

მუხლი 76. იმ პირის გამოსახლება, რომელიც ცხოვრობს დამქირავებლის საცხოვრებელ სადგომში როგორც მეურვე ან მზრუნველი

პირი, რომელიც ჩასახლებულია დამქირავებლის საცხოვრებელ სადგომში როგორც მეურვე ან მზრუნველი, არ მოიპოვებს დამოუკიდებელ უფლებას ამ სადგომზე. თუ ეს სადგომი კანონით დადგენილი წესით არა აქვს დამტკიცებული მეურვეს ან მზრუნველს, მაშინ მეურვეობის ან მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ მას გამოასახლებენ სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

მუხლი 77. საცხოვრებელი სადგომის გაცვლა

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს უფლება აქვს მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა, მათ შორის დროებით სხვაგან მყოფ წევრთა, წერილობითი თანხმობით გაუცვალოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი სხვა დამქირავებელს ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს, მათ შორის სხვა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთაც.

დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრს უფლება აქვს დამქირავებლის და ოჯახის სხვა წევრების (მათ შორის დროებით სხვაგან მყოფ წევრთა) წერილობითი თანხმობით მისი წილი საცხოვრებელი ფართობი გაუცვალოს სხვა პირს იმ პირობით, თუ გაცვლის წესით ამ სადგომში იგი ჩასახლდება როგორც დამქირავებელის ოჯახის წევრი (მეუღლე, აღმავალი ან დაღმავალი ხაზით ნათესავი, და, ძმა).

საცხოვრებელი სადგომების გაცვლა საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სახლებში დაიშვება მხოლოდ მათი თანხმობით. გაცვლის თანხმობაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით, იმ შემთხვევების გარდა, როცა იცვლება საცხოვრებელი სადგომები კოლმეურნეობათა „კუთვნილ“ სახლებში.

საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესს და პირობებს, რომელთა დროს გაცვლა არ დაიშვება, ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა, ეს კოდექსი და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობა.

მუხლი 78. საცხოვრებელი სადგომის იძულებითი გაცვლის შესაძლებლობა

თუ ოჯახის წევრები ვერ შეთანხმდნენ გაცვლის შესახებ, ამ პირთაგან ნ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბინაო კოდექსი

(გაგრძელება)

საცხოვრებელი სადგომის გადაკეთებასა და გადაგებგმარებაზე გამქირავებლის, დამქირავებლის, მისი ოჯახის წევრების, აგრეთვე იმ სხვა პირთა მიერ რომელთა ინტერესებსაც ეს შეეხება, უარის თქმის შემთხვევაში წარმოშობილი დავა გადაწყდება სასამართლო წესით, თუ გადაკეთებასა და გადაგებგმარებაზე არის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვა.

დამქირავებელი, რომელიც თვითნებურად გადააკეთებს ან გადაგებგმარებს საცხოვრებელ სადგომს, მოვალეა თავის ხარჯზე მოიყვანოს ეს სადგომი წინანდელ მდგომარეობაში.

მუხლი 94. საცხოვრებელი სადგომების მიცემა მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლის კაპიტალური რემონტის გამო

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლის კაპიტალური რემონტის დროს, როცა რემონტი შეუძლებელია დამქირავებლის გაუსახლებლად, გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს კაპიტალური რემონტის დროისათვის მისცეს სხვა საცხოვრებელი სადგომი შესარემონტებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოუშლელად. თუ დამქირავებელი უარს ამბობს ამ სადგომში გადასვლაზე, გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს მისი გადაყვანა სასამართლო წესით.

კაპიტალური რემონტის დროისათვის მიცემული საცხოვრებელი სადგომი უნდა იყოს ამ დასახლებული პუნქტის ფარგლებში და შეესაბამებოდეს სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

სახლის რემონტის დამთავრებისა და სახელმწიფო კომისიის მიერ მიღების შემდეგ დამქირავებელს უფლება აქვს დაბინავდეს წინანდელ საცხოვრებელ სადგომში.

დამქირავებელი მოვალეა შეიტანოს ბინის ქირა მხოლოდ იმ საცხოვრებელი სადგომისათვის, რომელიც მიცემულია კაპიტალური რემონტის ჩატარების დროით. გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა აანაზღაუროს გამქირავებელმა.

იმ შემთხვევებში, როცა დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი კაპიტალური რემონტის შედეგად უქმდება, ანდა მისი ფართობი არსებითად იზრდება და დამქირავებელს ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი ექნება, დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს უნდა მიეცეთ სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომი კაპიტალური რემონტის დროისათვის. თუ დამქირავებელი უარს ამბობს ამ სადგომში გადასვლაზე, გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს მისი გადაყვანა სასამართლო წესით.

კაპიტალური რემონტის დროისათვის მიცემული საცხოვრებელი სადგომი უნდა იყოს ამ დასახლებული პუნქტის ფარგლებში და შეესაბამებოდეს სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

სახლის რემონტის დამთავრებისა და სახელმწიფო კომისიის მიერ მიღების შემდეგ დამქირავებელს უფლება აქვს დაბინავდეს წინანდელ საცხოვრებელ სადგომში.

მუხლი 95. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლა

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ დამქირავებლის, მისი ოჯახის წევრთა და გამქირავებლის თანხმობით, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 96. ოჯახის წევრის მიერ ცალკე ხელშეკრულების დადება

დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრს უფლება აქვს მოითხოვოს დამქირავებლის და ერთ საცხოვრებელ სადგომში მცხოვრებ ოჯახის დანარჩენ წევრთა თანხმობით, რომ მას დაუდონ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ცალკე ხელშეკრულება, თუ მისი წილი საცხოვრებელი ფართობი შეიძლება გამოიყოს იზოლირებულ სადგომად, რომლის ოდენობა არ იქნება ამ კოდექსის 48-ე მუხლის მეორე ნაწილით დაწესებულ ოდენობაზე ნაკლები.

ქირავნობის ცალკე ხელშეკრულების დადებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

ამ მუხლის წესები არ გამოიყენება იმ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირავნობის მომართ, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეტანილია სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სიაში, რომელთა სახლებიდან შეიძლება სასამართლო წესით მუშა-მოსამსახურეთა (მათთან ერთად მცხოვრები პირებითურთ) გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან არაა-პატიო მიზეზით საკუთარი სურვილის საფუძველზე ან შრომის დისციპლინის დარღვევის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მოქალაქეებმა ბინა მიიღეს შრომით ურთიერთობასთან დაუკავშირებლად ან სხვა საფუძველზე სამუშაოდან დათხოვნისას.

მუხლი 97. საცხოვრებელი სადგომი ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლა ერთ ოჯახად გაერთიანების მსურველ დამქირავებელთა მოთხოვნით

მოქალაქეებს, რომლებიც ერთ ბინაში ცხოვრობენ და სურვილობენ მისი საცხოვრებელი სადგომებით დამოუკიდებელი ხელშეკრულებით, ერთ ოჯახად გაერთიანების შემთხვევაში უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ რომელიმე მათგანს დაუდონ ერთი ქირავნობის ხელშეკრულება მათ მიერ დაკავებულ მთელ სადგომზე.

გამქირავებლის უარი ერთი ხელშეკრულების დადებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

მუხლი 98. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლა დამქირავებლად ოჯახის სხვა წევრის ცნობის შემდეგ

დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრს უფლება აქვს დამქირავებლისა და მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის დანარჩენ სრულწლოვან წევრთა თანხმობით მოითხოვოს, რომ ცნონ იგი დამქირავებლად საცხოვრებელი სადგომის წინათ დადებული ქირავნობის ხელშეკრულებით პირველადელი დამქირავებლის ნაცვლად. ასეთივე უფლება აქვს დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახის ნებისმიერ წევრს.

გამქირავებლის უარი — ქირავნობის ხელშეკრულების მიზედვით დამქირავებლად ცნოს ოჯახის წევრი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

ამ მუხლის წესები არ გამოიყენება იმ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სახლებში საცხოვრებელი სადგომების ქირავნობის მომართ, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეტანილია სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციების სიაში, რომელთა სახლებიდან შეიძლება სასამართლო წესით მუშა-მოსამსახურეთა (მათთან ერთად მცხოვრები პირებითურთ) გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან არაა-პატიო მიზეზით საკუთარი სურვილის საფუძველზე ან შრომის დისციპლინის დარღვევის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მოქალაქეებმა ბინა მიიღეს შრომით ურთიერთობასთან დაუკავშირებლად ან სხვა საფუძველზე სამუშაოდან დათხოვნისას.

მუხლი 99. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის მოთხოვნით

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს გამქირავებლის მოთხოვნით მხოლოდ კანონით დაწესებულ საფუძველზე და მხოლოდ სასამართლო წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოსახლება ხდება სახლებიდან, რომელთაც ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება.

მუხლი 100. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის მიერ

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს უფლება აქვს ოჯახის წევრთა თანხმობით ნებისმიერ დროს მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება.

იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები მუდმივ საცხოვრებლად გადადიან სხვა დასახლებულ პუნქტში ან იმავე დასახლებული პუნქტის სხვა საცხოვრებელ სადგომში, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება სხვაგან წასვლის ან გადასვლის დღიდან მოშლილად თვლება.

მუხლი 101. საცხოვრებელი სადგომებიდან გამოსახლება

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში დაკავებული საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ საფუძველზე.

გამოსახლება ხდება სასამართლო წესით. დაიშვება გამოსახლება ადმინისტრაციული წესით პროკურორის სანქციით მხოლოდ იმ პირებისა, ვინც თვითნებურად დაიკავა საცხოვრებელი სადგომი ან ცხოვრობს სახლებში, რომელთაც ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება.

საცხოვრებელი სადგომებიდან გამოსახლებულ მოქალაქეებს იმავდროულად ეძლევათ სხვა საცხოვრებელი სადგომი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებში აღნიშნული შემთხვევების გარდა (ამ კოდექსის 109-ე, 110-ე მუხლები და 111-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მუხლი 102. მოქალაქეთა გამოსახლება სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომის მიცემით

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლებიდან მოქალაქეებს გამოსახლებენ სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომის მიცემით, თუ:

1) სახლი, რომელშიც საცხოვრებელი სადგომი მდებარეობს, ასაღებია;

2) სახლს (საცხოვრებელ სადგომს) ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება;

3) სახლი (საცხოვრებელი სადგომი) არასაცხოვრებლად უნდა გადაკეთდეს.

მუხლი 103. საცხოვრებელი სადგომის მიცემა სახლის (საცხოვრებელი სადგომის) აღებასთან ან გადაკეთებასთან დაკავშირებით

თუ სახლი, რომელშიც საცხოვრებელი სადგომი მდებარეობს, ასაღებია ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში, თუ ისინი გარიცხული არიან კოლმეურნეობის წევრობიდან ან გავიდნენ კოლმეურნეობიდან საკუთარი სურვილისამებრ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით მოქალაქეთა გამოსახლების სხვა შემთხვევებიც.

მუხლი 108. სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემა გამოსახლებასთან დაკავშირებით

გამოსახლებასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის მისაცემი სხვა საცხოვრებელი სადგომი უნდა შეესაბამებოდეს სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს და მდებარეობდეს მოცემული დასახლებული პუნქტის ფარგლებში.

გამოსასახლებელი პირისათვის მისაცემი საცხოვრებელი სადგომი უნდა აღინიშნოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში გამოსახლების შესახებ.

მუხლი 109. მოქალაქეთა გამოსახლება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად

თუ დამქირავებელი, მისი ოჯახის წევრები, ან მასთან ერთად მცხოვრები სხვა პირნი სისტემატურად ანგრევენ ან აფუჭებენ საცხოვრებელ სადგომს, ან იყენებენ მათ არადანიშნულებისამებრ, ანდა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სისტემატური დარღვევით სხვებისათვის შეუძლებელს ხდიან მათთან ერთ ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრებას, ხოლო ამასთან გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები უშედეგო აღმოჩნდა, ბრალეულთა გამოსახლება გამქირავებლის ან სხვა დაინტერესებულ პირთა მოთხოვნით ხდება სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად შეიძლება გამოსახლებულ იქნენ აგრეთვე მშობლის უფლებაჩამორთმეული პირნი, თუ მათი ცხოვრება ამ შვილებთან ერთად შეუძლებლადაა ცნობილი.

პირები, რომლებიც ერთად ცხოვრების შეუძლებლობის გამო გამოსახლებულ უნდა იქნენ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად, სასამართლომ შეიძლება დაავალდებულოს გამოსახლების მაგიერ გადაცვალონ დაკავებული სადგომი გაცვლით დაინტერესებული მხარის მიერ მითითებულ სხვა საცხოვრებელ სადგომზე.

მუხლი 110. მოქალაქეთა გამოსახლება ოვითნებურად დაკავებული საცხოვრებელი სადგომებიდან

პირები, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომები, გამოსახლებულ უნდა იქნენ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად ამ კოდექსის 101-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 111. ორდერის ბათილად ცნობის შედეგები

იმ შემთხვევაში, თუ ორდერს საცხოვრებელ სადგომზე ბათილად ცნობენ ორდერის მიმღებ პირთა არამართლზომიერი მოქმედების შედეგად, ისინი გამოსახლებულ უნდა იქნენ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

თუ ორდერში აღნიშნული მოქალაქენი წინათ სარგებლობდნენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომით, მათ უნდა მიეცეთ წინათ დაკავებული ან სხვა საცხოვრებელი სადგომი.

თუ ორდერი ბათილად არის ცნობილი სხვა საფუძვლების გამო, ვიდრე ამ მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, ორდერში აღნიშნული მოქალაქენი გამოსახლებულ უნდა იქნენ წინათ დაკავებული ან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით.

(დასასრული იქნება)

შინაგან საქმეთა

● გზრ

პარტნიორობის ზეიმი

საარბრიუკენი. დასავლეთ გერმანიის საარის მხარეში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის საზღვრების შესაყართან დამთავრდა ფესტივალი საბჭოთა ხელოვნებისა, რომელიც დასავლეთ გერმანიის მცხოვრებლებს საქართველოს წარგზავნილებმა გააცნეს. საარში საქართველოს სსრ დღეების მოწყობა დიდი ხნის ტრადიციაა. ჯერ კიდევ 1974 წელს დასავლეთ გერმახიის მეფოლადეთა და მაღაროელთა მზარის მთავარმა ქალაქმა მეგობრული კავშირურთიერთობა დაამყარა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქთან. საარბრიუკენის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანს თბილისის სახელი ჰქვია.

საქართველოს სსრ დღეები აქ მოეწყო 1983-1984 წლებში თანამშრომლობის გეგმის შესაბამისად.

ერთი კვირის მანძილზე საარელები და მრავალრიცხოვანი სტუმარი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან ეცნობოდნენ ქართველ მსახიობთა ოსტატობას.

ადგილობრივი პრესის აზრით, დიდი წარმატება ხვდა წილად ქართული კიხოს კვირეულს, თბილისის ახალგაზრდული თეატრის „მეტეხის" მსახიობებს, საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლისა და სხვა შემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლებს.

ყოველთვის ხალხმრავლობა იყო საარის მხარის მუზეუმებში, სადაც ექსპონირებული იყო ოქრომჭედლობის, გრაფიკის, გობელენების, ბავშვთა ნახატების გამოფენები. ნაყოფიერი გამოდგა თბილისისა და საარბრიუკენის უნივერსიტეტების წარმომადგენელთა შეხვედრა. მათ შორის მიღწეულია შეთანხმება სამეცნიერო თანამშრომლობისა და სპეციალისტთა ურთიერთგაცვლის შესახებ.

„მთელი პასუხისმგებლობით შემძლია განვაცხადო, რომ ჩვენი მოქალაქეები საბჭოთა კავშირის წარმოგზავნილებს გულწრფელი სიხარულით ხვდებოდნენ, დიდ ინტერესს იჩენდნენ თქვენი ქვეყნის ცხოვრებისა და ხელოვნებისადმი, — თქვა საკლესიო კორესპონდენტთან საუბარში საარის „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის" საზოგადოების თავმჯდომარემ ლუიტვინ ბოსმა, — ასეთი კონტაქტები განსაკუთრებით საჭიროა ახლა, საერთაშორისო ვითარების გამწვავების პერიოდში. ისინი საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ცრუ შეხედულებანი, უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი, განმტკიცებს ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთგაგებას. საბოლოო ანგარიშით კი, ყველაფერი ეს ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას, რომლის პირობებში ცხოვრებაც, ხვალინდელი დღის შიში რომ არ ჰქონდეს, ყველა ადამიანს სურს".

● ლიბანი

წარმატებული ოპერაცია

ბეირუთი. სამხრეთ ლიბანის ქალაქ ტირიდან რამდენიმე კილომეტრზე ლიბანელმა პატრიოტებმა კიდევ ერთი წარმატებული ოპერაცია განახორციელეს ისრაელ დამპყრობთა წინააღმდეგ. როგორც ლიბანის რადიო იუწყება, ოკუპანტების სამხედრო პატრულზე თავდასხმის შედეგად მოკლულია სამი და დაჭრილია ორი ისრაელი ჯარისკაცი. პატრიოტების ამ აქციის პასუხად ისრაელებმა მოაწყვეს მასობრივი დაპატიმრებანი ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებში.

● აშშ

სამშვიდობო მარშები

ნიუ-იორკი. ამერიკის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა მძლავრი სამშვიდობო მარშები, რომელთა მონაწილეებმა გულისწყლობით დაგმეს რეგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული კურსი, მოითხოვეს ბირთვული არსენალების გაყინვა. ისინი დაუკავშირეს ნიუ-იორკში გამართული მშვიდობისმოყვარეთა საერთაშორისო მანიფესტაციის წლისთავს, რომელიც განიარღების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სპეციალურ სესიას მიეძღვნა.

ნიუ-იორკში გაიმართა მარშების მთელი სერია. იგი მოეწყო ქალაქის ყველა რაიონში: მანჰეტენში, ბრუკლინში, ბრონქსში, სტატენ აილენდში, კუინსში. მარშებში მონაწილეობდნენ კონგრესმენები, ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლები, ქვეყნის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები.

პატარა და კოპწია სოფელია ძველი აბაშა, სადაც დაირწა კონსტანტინე გამსახურდიას აკვანი. ამ თარმოცდაათი წლის წინათ სწორედ აქ, აბაშის რაიონის ერთ-ერთ ლამაზ კუთხეში, თავად მწერლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, მსოფლიოს უძველესი და უმოკლესი მდინარის — ზანის პირად დაიბადა ქართული პროზის სწორუპოვარი დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია. აქ გაატარა მან ბავშვობისა და ყრმობის წლები.

და სწორედ მისი დაბადების 90 წლისთვის იუბილეს ზეიმობდნენ გასულ შაბათს აბაშის რაიონი და სრულიად საქართველო — თბილისიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან და ქალაქიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი სტუმრები, ხელოვნების, კულტურის, სხვა დარგების წარმომადგენლები. პოეტისა არ იყოს, თითქოს ქართულ მთებზე გადაძომდგარიყო ღილა საიადონო და ქუდს უხდიდა საქართველო კონსტანტინე ბატონს. ეს ზეიმი ხომ, რომლისთვისაც სამზადისი რაიონში კარგა ხანია დაიწყო და მრავალი ღონისძიებაც მიეძღვნა, ლოგიკური განგრძობა გახლდათ ამ რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკის დედაქალაქში გამართული მწერლის საიუბილეო საღამოსი.

საზეიმოდ იყო იმ დღეს მორთული აბაშის რაიონული ცენტრი, რკინიგზის სადგური, ცენტრალური ტრასა და იუბილარის მშობლიური სოფლისაკენ მიმავალი გზა.

შუადღისათვის მოზეიმეთა მრავალრიცხოვანმა კოლონამ იუბილარის სოფელს მიაშურა. უამრავი სტუმარ-მასპინძელი იყო მწერლის სახლ-მუზეუმის კარმიდამოში და შემოგარენში. ყველგან მუსიკა, სიმღერა და აწ განსვენებული „ქართული სიტყვის უსასთუმლო მეომრის" განსენებით სევდადაკრული საზეიმო განწყობილება სუფევდა...

დამწერეთა ტამის გრიალში ეზოში შემოდის ორი ეტლი, რომლებშიც მსხდომ გოგო-ბიჭებს სხვადასხვა დროს გადაღებული დიდოსტატის სურათები უჭირავთ. ეტლებს ცხენოსანთა მაყრიონი მოაცილებს, მხედრებს ხელთ უპყრიათ დროშები, მათზე სხვადასხვა ენაზე წარწერილია იუბილარის ნაწარმოებთა სათაურები. ეტლები სვლას ანელებენ, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ რვა ჭაბუკს მწერლის სურათები ეტლებიდან ჩამოაქვს და სახლ-მუზეუმისაკენ მიემართება...

კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 90 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგს ხსნის პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი რ. ღვინჯილია. შემდეგ მიკროფონთან ერთმანეთს ეხაცვლებიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პროფესორი რ. მიმინოშვილი, ეურნალ „დროშის" მთავარი რედაქტორი, პოეტი ხ. ბერულავა, ცნობილი აფხაზი პოეტი ი. თარბა, ეურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორი ჯ. ღვინჯილია, ოსი პოეტი რ. ასაევი...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, დიდი მწერლის სახლ-მუზეუმის გახსნის ნიშნად, ჭრის ლენტს და სტუმარ-მასპინძლები ათვალიერებენ მის ექსპოზიციას.

დიდოსტატის გენიის შუქით განსხივოსნებულ ზეიმში (სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბ. წიფურია) მონაწილეობდნენ აბაშის, მეზობელი რაიონების ანსამბლები და შემსრულებლები.

რ. რუსია.

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



სურათზე: სახალხო დღესასწაული „კონსტანტინობა" მწერლის სამშობლოში.

ბ. ბერსამიას ფოტო.
(საინფორმის ფოტოქრონიკა).

და ქუდს გიხდის საქართველო...

საიუბილეო ზეიმი მწერლის მშობლიურ კუთხეში

ჩვენს სახალხო დღესასწაულებზე

პირველი საკაკაძეობა ნოსტალგიაში

ზთავზოვავლობა სათუთად ინახავს გმირი წინაპრის — გამოჩენილი მხედართმთავრისა და თავისი დროის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის გიორგი საკაკაძის ნათელ ხსოვნას.

„საკაკაძეობა" კი სახალხო დღესასწაული, რომელიც კვირას, 12 ივნისს გაიმართა პირველად კასპის რაიონის სოფელ ნოსტალგიაში, მადლიერი შთამომავლობის სიყვარულის კიდევ ერთი გამოვლინება გახლდათ.

საზეიმოდ იყო მორთული ამ დღეს მთელი სოფელი, საკაკაძისეული ცხენ-კოშკი, რომელსაც ფუჭჯიონ ამტყველებული დიდი მოურავის პორტრეტი ამშვენებდა. ზეიმზე ზღვა ხალხი მოვიდა კასპიდან, გორიდან, მცხეთიდან, თბილისიდან, რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.

დღესასწაული გახსნა კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ეპიტაშვილმა. მწერლებმა ჯ. ღვინჯილიამ და ლ. სანიკიძემ, პროფესორმა ვ. კოტეტიშვილმა, პოეტმა ტ. მებურნიშვილმა, ნოსტეს გ. საკაკაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კენჭუაშვილმა და სხვებმა საინტერესოდ ილაპარაკეს გამოჩენილი მხედართმთავრის ღვაწლზე სამშობლოს წინაშე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ და შრომობენ დღეს საკაკაძის თანასოფლელები და მთელი კასპის რაიონის მშრომელები.

სახელდახელო სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ სახალხო მთქმელები და რაიონის თვითმოქმედი კოლექტივები.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ეს შესანიშნავი წიგნია

ქართველი ენათმეცნიერის ნაშრომის ფართო ალიარება

მოსკოვი. წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე 1981 წელს ჩვენი რესპუბლიკიდან სხვა წიგნებს შორის წარმოდგენილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის წევრის **გივი ზვიადაძის „თანამედროვე ამერიკული-ინგლისური ენის ლექსიკონი ბრიტანულთან შეპირისპირებით"** ინგლისურ ენაზე. ამ წიგნით დაინტერესდა შვიდი სხვადასხვა ქვეყნის რვა გამომცემლობა, რომლებთანაც ეხსაბამისად გაფორმდა ოფციები. და აი, ამას წინათ წიგნი გამოიცა ახალ დელში გამომცემლობა „ორნოლდ ჰეინემანის" მიერ, რომელიც წარმოადგენს ლონდონის სამ დიდ ინგლისურ გამომცემლობას ინდოეთში. ესენია „ედვარდ არნოლდი", „ჰეინემანის" საგანმანათლებლო წიგნები", „პიტმანი" და „დასავლეთის გამომცემლობა" (ამერიკის შეერთებული შტატები). წიგნის სუპერყდა გაფორმებულია ქართველი მხატვრის გ. ბიჭიაშვილის კომპოზიციის მიხედვით. სუპერყდაზე დაბეჭდილია ცნობილი სპეციალისტების აზრი ამ წიგნზე.

„გივი ზვიადაძეს და უნივერსიტეტს, რომლის პასუხისმგებლობითაც გამოვიდა ეს ნაშრომი, კარგი საბაბი აქვთ იმისათვის, რომ იამაყონ ამ წიგნით. ჩემი აზრით, იგი ფართოდ უნდა დაინეგრეს ინგლისური ენის მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის" (პროფესორი თომას პაილზი, ეურნალი „ამერიკან სპიჩი", ტომი 48);

„ეს სოლიდური ნაშრომი მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ შესრულდა ინგლისისა და ამერიკის უნახავად (პროფესორი რეიგენ ი. მაკდავუდი, ჩიკაგოს უნივერსიტეტი.);

„ამ ლექსიკონში, მისი ჭეშმარიტად დიდი მოცულობისა და სფეროს გარდა, განსაკუთრებით ვაფასებ ციტატების თანამედროვეობასა და თქვენს უნარს —ჩასწვდეთ მასში წარმოდგენილი სიტყვების როგორც ხატოვან, ასევე ლიტერატურულ მნიშვნელობებს" (პროფესორი ალბერტ ჰ. მარკუორდტი, მიჩიგანის უნივერსიტეტი);

„ეს შესანიშნავი წიგნია, რომელიც კარგ სამსახურს გვიწევს ინგლისურ-ამერიკულ განსხვავებათა დადგენაში, რომელთაც თითქმის კოფლიქტამდე მივყავართ საკლასო ოთახში" (პროფესორი ჯეინ ს. ჰარდეი, ფლორიდის უნივერსიტეტი);

„ჰატივი და დიდება გივი ზვიადაძეს თანამედროვე ამერიკული ინგლისური ენის ბრიტანულ ინგლისურთან შეპირისპირებითი ლექსიკონის კვლავ გამოცემისათვის" (ბულკ რაჯ ანანდი, ინდოეთი).

გივი ზვიადაძის წიგნი „თანამედროვე ამერიკული და ბრიტანულ-ინგლისური ენის შეპირისპირებითი ლექსიკონი" ინგლისურ ენაზე ამ ფრაზებით დასრულდა „ქართული სიტყვის უსასთუმლო მეომრის" განსენებით სევდადაკრული საზეიმო განწყობილება სუფევდა...

დამწერეთა ტამის გრიალში ეზოში შემოდის ორი ეტლი, რომლებშიც მსხდომ გოგო-ბიჭებს სხვადასხვა დროს გადაღებული

სტენისა და სტუდენტებისათვის. ახლანდელი ნაშრომი კი, რომელიც ძირითადად პირველი გამოცემის პირველი განყოფილების (სამი განყოფილებიდან) საკმაოდ გაზრდილი და შესწორებული გამოცემაა, ამჯერად გათვალისწინებულია ყველასათვის — მათ შორის ამერიკელი და ბრიტანელი სპეციალისტებისთვისაც.

გ. ზვიადაძე რედაქციაში მოვიწვიეთ. მივულოცეთ წარმატება და მის მომავლის გეგმებით დავინტერესდით.

—„ორნოლდ ჰეინემანის" გამომცემლობასთან კონტრაქტი ხუთწლიანი ვადით გაფორმდა, —თქვა მან.—ამჟამად სსრ კავშირის საავტორო უფლებათა საგაზეტოში ფორმდება ახალი კონტრაქტი ლაიფციგის (გდრ) გამომცემლობა „ენციკლოპედიასთან". ეს დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ამ ხუთი წლის განმავლობაში სულ ახალ-ახალი მასალები უნდა წარვუდგინო ორივე გამომცემლობას. გარდა ამისა, გამოსაცემად ვამზადებ „ამერიკული სლენგის და კოლოკვიალიზმების (დიალექტიზმებთან და სოლისიზმებთან ერთად) ლექსიკონს", რომლის სამტომეულსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა გამოაქვეყნებს.

ბ. დურგლიშვილი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამბ. **ო. ი. ჭოხონელიძე** დანიშნა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად მოადგილედ.

ᲙᲘᲜᲝ



დღის წესრიგშია სპარტაკიადა

გაიმართა წყალბურთელთა ფინალური ტურნირის პირველი დღის მატჩები. საქართველოს ნაკრები შეხვდა ეკვსაგზის სპარტაკიადის ჩემპიონს — მოსკოვის ნაკრებს და დამარცხდა ანგარიშით 6:8. ყაზახეთის ნაკრებმა დაამარცხა უკრაინის გუნდი — 9:8. ახლა მოსკოვისა და ყაზახეთის ნაკრებს 4-4 ქულა აქვთ. საქართველოს ნაკრებს კვლავ ორი ქულა დარჩა.

ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელი ქალები რუსეთის ფედერაციის ძლიერ გუნდს შეხვდნენ; მეხვედრა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა მოიგო — 3:0.

სატურნირო ორბიტა

მძლეოსნობა. ვილნიუსელმა ანა ამბროზენემ მოსკოვში გამართულ ძმები ზნამენსკეების მემორიალურ ტურნირში ასპარეზობისას 0,26 წამით გაუსწორებია კ. როსლეის (გდრ) მსოფლიო რეკორდი 400 მ ბარიერებით სირბილში. ახალი რეკორდი 54,02 წამია. ჩინელმა მძლეოსანმა ჯუ ძიანხუამ ჩინეთის მეუფეთ ეროვნულ სპორტულ ასპარეზობაზე დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 2 მეტრი და 37 სანტიმეტრი.

ზაფი. საბჭოთა მოშაშეებმა მეათედ დაამარცხეს ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში ნიდერლანდის გუნდი 42:38.

ფეხბურთი. მოსკოვის „ტორპედოსა" და „ნისტრუს" მატჩით დასრულდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცამეტე ტური. შეხვ